სკრინინგის დასაბუთება

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალგეთის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (თიხა-თაბაშირის (გაჯი)) მოპოვების სკრინინგის განცხადებაზე

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება (თიხა-თაბაშირის (გაჯი));

განმცხადებელი: სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალგეთის მიმდებარედ

დაგეგმილი საქმიანობის აღწერა:

წიაღით სარგებლობის ობიექტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ალგეთის მიმდებარედ (იალღუჯას საძოვრები).
ტერიტორია ქ. რუსთავთან დაშორებულია 4 კმ-ით.
წიაღისეულის დაძიება განხორციელდა შურფების გაყვანით. საშუალო სიმძლავრე შეადგენს 1 მ-ს.ფართობი შეადგენს 110510 მ^2. მოცულობითი წონაა - 1,52. მარაგი დათვლილია 167975 ტ.
მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით.
საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია.
ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი გრუნტის მასა დასაწყობდება შემდგომ რეკულტივაციის მიზნით.

ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და მისი შესაბამის ტერიტორიასთან თავსებადობის და საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ

საქმიანობის მახასიათებლები	კი	არა	შესაძლო ზემოქმედება
საქმიანობის მასშტაბი		√	წიაღისეულის მოპოვება დაგეგმილია 11 ჰა ტერიტორიაზე. წიაღისეულის ფენის საშუალო სიღრმე 1 მ-ია, ხოლო მარაგი შეადგენს 167975 ტონას.
არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		√	წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტისა და GIS ფაილების განხილვით კუმულაციური

			ზემოქმედების სახეები არ ფიქსირდება
ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;		√	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ფუჭი გრუნტი გამოყენებული იქნება რეკულტივაციის მიზნით. წარმოდგენილი მასალებით სატყეო ფონდი არ ფიქსირდება. იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია წარმოადგენს საძოვრებს - ხე-მცენარეებზე ზემოქმედება არაა მოსალოდნელი.
ნარჩენების წარმოქმნა	√		ფუჭი ქანები გამოყენებული იქნება რეკულტივაციის მიზნით
გარემოს დაბინძურება და ხმაური		√	დასახლებული ტერიტორიის საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების გათვალისწინებით (სოფლამდე პირდაპირი მანძილი 3 კმ-ზე მეტია), წიაღისეულის მოპოვების პროცესში გარემოს დაბინძურებას და ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.
საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		√	ავარიული სიტუაციების და კატასროფების რისკი არ არის მოსალოდნელი
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:	კი	არა	შესაძლო ზემოქმედება
ჭარბტენიან ტერიტორიასთან		√	საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან.
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		√	საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან.
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		√	საპროექტო უბანზე არ ფიქსირდება ხე-მცენარეული საფარი. შესაბამისად მასზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
დაცულ ტერიტორიასთან		√	ტერიტორია არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		√	საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ტორიტორიის სიახლოვეს (ქ. რუსთავთან დაშორება შეადგენს 4კმ-ს და მეტს)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		√	ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:	კი	არა	
ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		√	ტრანსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის (სახელმწიფო საზღვარი დაცილებულია 20 კმ-ზე მეტი მანძილით).
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		√	წიაღისეულის მოპოვების შემდგომ დაგეგმილია სარეკულტივაციო სამუშაოები. თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვება არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას

სკრინინგის დასაბუთება

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (იალღუჯას საძოვრები), თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვება, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არ იწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის’ მე-7 მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე (იალღუჯას საძოვრები) სასარგებლო წიაღისეულის (თიხა-თაბაშირის (გაჯი)) მოპოვება, გარემოზე ზემოქმედების მცირე მასშტაბიდან გამომდინარე არ ექვემდებარება გზშ-ს (გარემოზე ზემოქმედების შეფასებას), შესაბამისად ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.</u>